სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენის ხელშეკრულება

-, საქართველო - 2026

წინამდებარე **სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენის** ხელშეკრულება (შემდგომში მოიხსენიება როგორც „**წინამდებარე ხელშეკრულება**") დადებულია ზემოთ მითითებულ თარიღში, შემდეგ მხარეთა მიერ და შორის:

ბანკი:

სს „იშბანკი საქართველო" (საიდენტიფიკაციო კოდი 404496611, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზირი, N72ა, ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ლიცენზირების ფორმა: საბანკო საქმიანობის ლიცენზია, საზედამხედველო ორგანოს დასახელება: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეროვნული ბანკის მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2);

წარმოდგენილი:

უფლებამოსილი წარმომადგენელის, = (პ/ნ =) მიერ, ერთის მხრივ და

კლიენტი:

= მეორეს მხრივ,

შემდგომში მოხსენიებული ცალ-ცალკე როგორც „**მხარე**" და ერთობლივად, როგორც „**მხარეები**", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**
   1.1. კლიენტი სერტიფიკატის თანხის გადახდით იძენს სადეპოზიტო სერტიფიკატს ბანკისგან, ხოლო ბანკი კისრულობს ვალდებულებას მხარეთა შეთანხმების შესაბამისად და დათქმულ ვადაში გადაუხადოს კლიენტს სადეპოზიტო სერტიფიკატის თანხა.

2. **სადეპოზიტო სერტიფიკატის მახასიათებელი:**
   2.1. სადეპოზიტო სერტიფიკატის სახე: =
   2.2. სერტიფიკატის ტიპი: =
   2.3. სერტიფიკატის გამოშვების მინიმალური ოდენობა: =
   2.4. სერტიფიკატის ნომინალი: =
   2.5. სადეპოზიტო სერტიფიკატის გაცემის საკომისიო: ნომინალური ღირებულების =%
   2.6. სადეპოზიტო სერტიფიკატის გასხვისების საკომისიო: ნომინალური ღირებულების =% მინ. =.
   2.7. სერტიფიკატის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებული : წლიური - (-) %
   2.8. სერტიფიკატის ვადიანობა : -
   2.9. სერტიფიკატის ვადის ბოლო დღე: -
   2.10. სერტიფიკატის გამოშვებისა და დაფარვის თარიღები: -
   2.11. სერტიფიკატის ნომერი: -
   2.12. სერტიფიკატის თანხა: -

2.13. გარიგების თანხა და შემოსავლიანობა (სარგებელი): -

2.14. სერტიფიკატის საწყისი საპროცენტო განაკვეთი: წლიური - (-) %

2.15. საპროცენტო სარგებლის დარიცხვის (გაანგარიშების) და ასახვის (გადახდის) წესი, პირობები და პერიოდულობა: =

2.16. ლარის შესაძლო 15%-იანი წლიური გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წლიური [= (=)% (ეს პუნქტი ივსება არასტანდარტული სადეპოზიტო სერტიფიკატის შემთხვევაში]

3. გარიგების მხარეების ანგარიშის ნომრები:

სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებით ანგარიშწარმოება ხორციელდება შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი: -

კლიენტი: -

ბანკის მიერ ვადამდე გამოსყიდვის პირობები

3.1. კლიენტის მოთხოვნით გამოსყიდვის პირგასამტეხლო შეადგენს: ნომინალური ღირებულების - (-)%.
მოთხოვნის განხილვის ვადა: - (-) კალენდარული დღე.

4. ხელშეკრულების მოქმედება და ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის სერტიფიკატის მფლობელის მიერ სერტიფიკატის შეძენის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

4.2. სერთიფიკატი კონკრეტულ მფლობელთან ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა ხდება მფლობელის მიერ სერტიფიკატის მეორადი გასხვისებით ან ბანკის მიერ სერტიფიკატის ვადამდე გამოსყიდვით. ამასთან, ბანკს ააქვს უფლება გამოისყიდოს სერთიფიკატი, მხოლოდ კლიენტის წინასწარი თანხმობის საფუძელზე და კლიენტთან შეთანხმებული ფასით.

4.3. სერტიფიკატის გამოშვების პირობებით მხარეთა შორის შეთანხმებული სერტიფიკატის ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან.

5. დავათა გადაწყვეტა

5.1. ნებისმიერი დავა და უთანხმოება, რომელიც გამომდინარეობს წინამდებარე ხელშეკრულებიდან ამ მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებიდან, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებით ან, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გადაეცემა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს.

5.2. მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა

საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს“(DRC-ს, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348) (შემდგომში- არბიტრაჟი).

5.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას არბიტრაჟის მისამართია: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას 71, მე-4 ბლოკი, მე-2 სართული, ოფისი 11, ვებ.გვერდი: www.drc-arbitration.ge

5.4. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასარჩელო მოთხოვნა არ აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს, საარბიტრაჟო განხილვა და გადაწყვეტილების მიღება მოხდება ზეპირი მოსმენის გარეშე.

5.5. არბიტრაჟის მიერ დავის განხილვა მოხდება ქართულ ენაზე “არბიტრაჟის შესახებ” საქართველოს კანონისა და არბიტრაჟის საარბიტრაჟო წარმოების წესების შესაბამისად.

6. ზოგადი დებულებები

6.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.2. სადეპოზიტო სერტიფიკატთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს ბანკში კლიენტის სახელზე გახსნილ მიმდინარე ანგარიშზე. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის ან შემძენის ანგარიშზე არსებულ შეზღუდვებთან დაკავშირებით.

6.3. მხარეთა შორის ნებისმიერი კომუნიკაცია იწარმოებს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება მიიჩნევა საკმარისად, თუ იგი მხარისათვის მიწოდებული იქნება კურიერის მიერ, ან დაზღვეული წერილით, ან ელექტრონული ფოსტით ან ინტერნეტ ბანკინგით ან ჩაიბარებს პირადად, წინამდებარე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ მისამართზე ან/და შეთანხმებულ რეკვიზიტებზე. თუ მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისამართის ან სხვა საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შესახებ წინასწარ, შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად თუ იგი მიტანილი იქნება ცნობილ მისამართზე.

6.4. თავიანთ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისას მხარეები ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით, „წინამდებარე ხელშეკრულებითა“ და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით.

6.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაფორმდა წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, კლიენტს შეუძლია წარადგინოს პრეტენზია ზეპირად, ელექტრონული ფოსტით, ვებ-გვერდის მეშვეობით, ტელეფონით ან ფილიალში წერილობით შესაბამისი ფორმის შევსების გზით ან თავისუფალი წერილობითი ფორმით. პრეტენზიის მიღებაზე უფლებამოსილია ბანკის წარმომადგენელი. პრეტენზიის, გარდა ზეპირი ფორმის შემთხვევებისა, მიღებისას პრეტენზიის განმცხადებლისათვის წერილობით/ელექტრონულად ხდება პრეტენზიის მიღების დადასტურება. პრეტენზიების მიღება, დამუშავება და მათზე რეაგირება მოხდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში და შესაბამისი პასუხი შეტყობინებული იქნება კლიენტისათვის სასურველი ნებისმიერი ფორმით. პრეტენზიების განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც ბანკის ვებ-გვერდზე (www.isbank.ge), ასევე ბანკის ფილიალებში.

6.7. „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

ბანკი

სს „იშბანკი საქართველო“

უფლებამოსილი წარმომადგენელი

-

_____

კლიენტი: -

_____